არქიტექტურის საფუძვლებისა და თეორიის N603 დეპარტამენტი

ისტორია

არქიტექტურის საფუძვლებისა და თეორიის N603 დეპარტამენტი ჩამოყალიბდა 2012 წელს. იგი შეიქმნა არქიტექტურის საფუძვლებისა და გრაფიკის, არქიტექტურული კონსტრუქციებისა და არქიტექტურული ფიზიკის და ხელოვნების ისტორიის კათედრების ბაზაზე.

არქიტექტურის საფუძვლებისა და გრაფიკის (N98-ე) კათედრა შეიქმნა 1970წელს. მას 1989 წლამდე ხელმძღვანელობდა პროფესორი მიხეილ ლორთქიფანიძე, 1989 წლიდან 2012 წლამდე პროფესორი, არქიტექტურის დოქტორი ნანული თევზაძე.

არქიტექტურული კონსტრუქციების (N97-ე) კათედრა შეიქმნა 1970 წელს. კათედრის პირველი ხელმძღვანელი გახლდათ პროფესორი აკაკი ბერიშვილი. 1984 წლიდან 1994 წლამდე კათედრის ხელმძღვანელი იყო პროფესორი, არქიტექტურის დოქტორი თენგიზ კვირკველია. ხოლო 1994 წლიდან 2006 წლამდე -პროფესორი დავით ჩიჩუა. 2006 წლიდან კათედრას ხელმძღვანელობდა პროფესორი ლევან ბერიძე.

ხელოვნების ისტორიის კათედრა დაარსდა 1992 წელს, დაარსების დღიდან კათედრის გამგე იყო გამოჩენილი ქართველი ხუროთმოძღვარი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე პროფ. ირაკლი ციციშვილი. მისი გარდაცვალების შემდეგ, 2002-2007 წლებში კათედრას ხელმძღვანელობდა პროფესორი ნ. შავიშვილი.